როგორ ვებრძოლოთ ტყის უკანონო ჭრას

ჩვენს ქვეყანაში ტყის უკანონო ჭრის მთავარი მიზეზებია უდიდესი მოთხოვნილება საშეშე და სამასალე მერქანზე, ცუდი კანონმდებლობა, კანონის აღსრულების ხარვეზები და კორუფციის მაღალი დონე; ხოლო ხელშემწყობი ფაქტორია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სიღარიბე და სამუშაო ადგილების არარსებობა. ამ ფაქტორებმა ხე-ტყის ბიზნესი ერთეულებისათვის ზემოგების მომტან, ნახევრად ლეგალურ საქმიანობად აქცია, რომელიც ტყის ეკოსისტემებს განადგურებას უქადის. თუ რა უარყოფითი შედეგები მოსდევს ამას, ყველასათვის ცნობილია: კლიმატის ცვლილება, გადაშენების პირას მისული ცხოველთა სახეობები, გახშირებული წყალდიდობები, ღვარცოფები, მეწყერები და სხვა სტიქიური მოვლენები, ღარიბი მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბება რესურსის ამოწურვისა და საბინადრო პირობების გაუარესების გამო, ეკოლოგიური მიგრანტების (სტიქიური უბედურებების გამო იძულებით გადაადგილებულთა) დიდი არმიის გაჩენა.

2005 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შეიქმნა გარემოს დაცვის ინსპექცია (ბდი). მის ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას წარმოადგენს სატყეო სფეროში უკანონო ქმედებების (უკანონო ჭრა, ჭრის წესების დარღვევა და სხვ.) გამოვლენა და აღკვეთა. სამწუხაროდ, ბდი-ს არ აქვს საკმარისი არც ადამიანური და მატერიალური რესურსი და არც გამოცდილება, რომ წინ აღუდგეს დარღვევებს, რომლებმაც ბოლო წლებში უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება ევალებათ დაცული ტერიტორიებისა და სატყეო მეურნეობის მუშაკებსაც.

ამ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია ქვეყნის მოქალაქეების აქტიური მონაწილეობით. სახელმწიფო ორგანოებს უნდა დავეხმაროთ საკუთარი ფუნქციების უკეთ შესრულებაში; ხელი უნდა შევუწყოთ იმ ადგილებში მუშაობაში, სადაც უჭირთ უკანონობასთან გამკლავება; "ვაიძულოთ" იმუშაონ იმ ადგილებში, სადაც ჯერ არ უნდათ, ან ვერ ახერხებენ. ასევე, საჭიროა საზოგადოების წარმომადგენლებმა თვალი ადევნონ კანონის აღსრულების პროცესს, რათა იგი ეფექტური იყოს და არ გადაიქცეს კორუფციის ახალ წყაროდ.

ამ ბროშურაში მოცემულია უკანონო ჭრებისა და ტიპიური დარღვევების მაგალითები, ასევე სასარგებლო ინფორმაცია უკანონო ჭრების ფაქტების აღმოჩენისათვის.

ბევრი დარღვევა, რომელიც შეიძლება არსებობდეს სატყეო სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას, შესაძლებელია, დაფიქსირდეს მხოლოდ დოკუმენტაციის გადამოწმებისა და ანალიზის შედეგად. სასურველია, რომ გვქონდეს ლიცენზია, ტყეთმოწყობის მასალები, ტყეკაფის გეგმა, მერქნის წარმოშობისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაძლოა კიდევ სხვა დოკუმენტებიც, რომ ერთმანეთს შევადაროთ და ზუსტად განვსაზღვროთ დარღვევის სახე. ასეთი დოკუმენტები ხშირად ძნელი მოსაპოვებელია და მათში გარკვევა მოითხოვს შესაბამის ცოდნასა და მომზადებას, მაგრამ რიგითმა მოქალაქემ გარკვეული ნიშნების მიხედვით შეიძლება ივარაუდოს, რომ ადგილი აქვს უკანონო ქმედებას და კომპეტენტურ ორგანოებს დაზუსტებისა და რეაგირებისათვის მიმართოს. პირველ რიგში, ასეთი ორგანოა ბდი, რომელსაც უფლება აქვს და მის მოვალეობაშიც შედის, რომ შეამოწმოს საჭირო დოკუმენტაცია, აღკვეთოს დანაშაული და მოახდინოს რეაგირება კანონის დარღვევაზე.

უკანონო ქმედებების სახეები და მათი ნიშნები

ტყის უკანონო ჭრა არის ჭრა (ხე-ტყის დამზადება) ოფიციალური სანებართვო მოწმობის გარეშე, რომელიც ჩატარდა დარღვევით გაცემული სანებართვო მოწმობით, ყალბი ან ვადაგასული საბუთებით, ან ჭრის წესების დარღვევით განხორციელებული ჭრა.

ჭრა ტყეკაფის გარეშე

ხე-ტყის დამზადება დაშვებულია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილი **ტყეკაფის** ფარგლებში. ჭრა უკანონოა (უნებართვოა), თუ ის ტყეკაფის გამოყოფის გარეშე, გამოყოფილი ტყეკაფის ფარგლებს გარეთ, დაშვებულზე მეტი რაოდენობით, ყალბი ან ვადაგასული დოკუმენტებით ხორციელდება. უნებართვოდ ზეხმელი, ჩახერგილი, მათ შორის წაქცეული ხეების მოჭრა და დამზადებაც კი აკრძალულია.

ტყეკაფი ტყეში გამოყოფილი განსაზღვრული ფართობის ადგილია, რომელზეც მონიშნულია მოსაჭრელი ხეები და ტყიდან გამიჯნულია ვიზირებით, ან ბუნებრივი საზღვრებით. ტყეკაფის კუთხეებში განთავსებული უნდა იყოს ხის ბოძები, რომელზეც აღნიშნულია ტყეკაფის ნომერი და ფართობი, ასევე მითითებული უნდა იყოს გამოყოფის ადგილი, წელი და ჭრის სახე. ტყეკაფზე ყველა მოსაჭრელ ხეს აქვს თავისი ინდივიდუალური ნომერი და დამღა ფესვის ყელთან. ასეთი მონიშნული ხეების არსებობაც ტყეკაფის გამოყოფის მაჩვენებელია. თუ ვერ ვნახავთ ტყის ჭრის ადგილას ასეთ ბოძებსა და ვიზირებს, ასევე დანომრილ ხეებს, ეს ნიშნავს, რომ ჭრა ტარდება ტყეკაფის გარეშე, ან მის ფარგლებს გარეთ და ეს უკვე მიზეზია, რომ მივმართოთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ხშირად ბოძები მხოლოდ ტყეკაფის ერთ მხარეზეა, რათა დამღრვევმა ზერელე შემოწმებას "გაუძლოს". ტყის სიღრმეში კი წესიერად არ არის ხოლმე აღნიშნული ტყეკაფის საზღვრები. ხშირად ბოძებზე არ არის სრული ინფორმაცია ტყეკაფის შესახებ. ესეც კანონის დარღვევაა.

დაშვებულზე მეტის ჭრა

ხშირად გამოყოფილ ტყეკაფში იჭრება უფრო მეტი, ვიდრე ამის უფლებას იძლევა ლიცენზია და ტყეკაფის მასალები. თუ გამოყოფილ ტყეკაფზე არის მოჭრილი ხეების ჯირკები, რომლებსაც არ აქვს ნომერი ფესვის ყელთან, ეს უკანონოდ მოჭრილი ხეა. ასევე, გადაჭრილ კუნძზე ზემოდან უნდა იყოს სპეციალური დამღა, რომელსაც ასვამს სატყეო მეურნეობა.

უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის ტრანსპორტირება და ექსპორტი

ხე-ტყის გადასაზიდად საჭიროა გადამზიდავმა იქონიოს "ხე-ტყის კანონიერებისა და წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები", ან „საშეშე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი", რომლებიც მან მოთხოვნისამებრ უნდა წარუდგინოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს (პოლიცია, გდი, სატყეო და საბაჟო დეპარტამენტები). აღნიშნულ დოკუმენტს გასცემს ის ადგილობრივი სატყეო მეურნეობა, რომლის უფლებამოსილების გავრცელების ფარგლებშიც მოხდა რესურსის მოპოვება. მოჭრილი ხის ნომერი (რომელიც აღნიშნულია ფესვის ყელზე) გადატანილ უნდა იქნეს მისგან დამზადებულ მორზე. დაუნომრავი მორის ტრანსპორტირება აკრძალულია. თუ სატრანსპორტო საშუალება დატვირთულია მორებით, რომლებიც არ არის დანომრილი, ეს შესაძლოა მუთითებდეს უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყის არსებობაზე. <u>რიგით მოქალაქეს კერძო პირისათვის დოკუმენტაციის მოთხოვნისა და შემოწმების უფლება არ აქვს!</u>

ამორჩევით საუკეთესო ხეების მოჭრა

ხშირად მოვლითი (რომლის ერთ-ერთი სახეა სანიტარული ჭრა) ჭრების შედეგად იჭრება ჯანმრთელი, საუკეთესო ხეები. გამოყოფილ ტყეკაფზე ხმელი, ხმობადი, ძლიერ დაზიანებული ხეების ჭრაში არდანიშვნა დარღვევაა და კანონით ისჯება. ამდენად თუ ნახავთ, რომ გამოყოფილ ტყეკაფში არ არის დანომრილი, ანუ მოსაჭრელად მონიშნული ასეთი ხეები, ჩათვალეთ, რომ სატყეო მეურნეობამ კანონი დაარღვია. დანიშნული ჭრების დროს საუკეთესო, ჯანმრთელი ხეები, წესით, არ უნდა იჭრებოდეს. ხშირად კი პირიქით ხდება. განსაკუთრებით სავალალოა, როცა ასეთი რამ სწორედ მოვლითი (სანიტარული) ჭრების დროს ხდება, რომელიც წესით ტყეების გაჯანსაღებას უნდა ემსახურებოდეს.

ენდემური, რელიქტური, ძვირფასმერქნიანი და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების ჭრა

თუ ნახავთ, რომ ტყეში მოჭრილია ჭალის მუხა, წაბლი ან უთხოვარი ეს იქნება უკანონო ჭრა, ვინაიდან ეს სახეობები შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში. ძვირფასი მერქნის გამო წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიდან ყველაზე ხშირად ზემოჩამოთვლილ სახეობებს მოიპოვებენ უკანონოდ. ასევე, სავარაუდოდ დანაშაულთან გვექნება საქმე, თუ სახერხში წააწყდებით წითელი ნუსხის სახეობების მორებს.

ტყითსარგებლობის წესების დარღვევა, ტყისთვის ზიანის მიყენება

არსებობს დარღვევები, რომელთა შედეგად ზიანი ადგება ტყეს და რომლებიც არ არის ძნელად გამოსაცნობი. უბრალოდ უნდა იცოდეთ, რომ ეს დარღვევაა და კანონით ისჯება. ასეთებია:

- ტყის ჭრა ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე (თუ ასეთ ფერდობზე ტყეკაფია გამოყოფილი, დანიშნულია ხეები, ეს სატყეო მეურნეობის მიერ კანონის დარღვევაზე მიუთითებს);
- ტყის ჭრის დროს დაუნიშნავი ხეების წაქცევა ან დაზიანება;
- მოჭრილი და მიყუდებული ხეების დატოვება ტყეში - ეს საფრთხეს უქნის ადამიანის სიცოცხლეს;
- ხე-ტყის დამზადებისას მოზარდი აღმონაცენის დაზიანება-გაფუჭება;
- ტყის ჭრა გზისპირებზე;
- მიყოლებით მოზარდი ხეების ჭრა;
- ხე-ტყის დამზადების შემდეგ ტყის ნარჩენებისგან არგაწმენდა. ხშირად მიაქვთ მხოლოდ სამასალედ გამოსადეგი ხე-მცენარის ვარჯის ნაწილი, წვეროებსა და ტოტებს კი იქვე ყრიან. იკარგება უამრავი საშეშე მერქანი, ნაყარი კი ხელს უშლის აღმონაცენს და ახელს უწყობს ტყის დაავადებების გავრცელებას;
- სადღესასწაულო, რელიგიური, სარიტუალო, დეკორატიული და სხვა მიზნით ხეების დაზიანება, ტოტების მოჭრა (ბზის ტოტები ბზობისათვის, უთხოვარის ტოტები, საახალწლოდ წიწვოვნების მოჭრა, ასევე ვარჯის წვერის წაჭრით მცენარის დაზიანება);
- ნაყოფისმომცემი ხეების პროდუქტების შეგროვება ტოტების მოჭრით (ჯონჯოლი, ქაცვი, ასკილი, კოწახური, შინდი, ნუში და სხვ.)
- ტყის ფონდის ტერიტორიაზე უნებართვო (უკანონო) ძოვება, ხვნა და თიბვა;
- ტყის ფართობების თვითნებურად შემოკავება, შემოღობვა და მითვისება;
- გაუქერქავი წიწვოვანი ხის მორების ტყიდან გამოტანა, ან ტყეში დამარაგება.

ხე-ტყის დამზადება დაცული ტერიტორიების ფარგლებში

ხე-ტყის დამზადება (ასევე საქონლის ძოვება) დაშვებულია მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის დაცული ტერიტორიის ფარგლებში, ისიც მხოლოდ სპეციალური ნებართვით. მაგალითად, ასეთებია: აღკვეთილი, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონა. ნაკრძალის ან ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში ხის ჭრა აკრძალულია. თუ დაცულ ტერიტორიაზე არ არის სპეციალურად ამისათვის კანონით დაშვებული ადგილები, იქ ჩატარებული ჭრა (ისევე როგორც სხვა ბუნებრივი რესურსის მოპოვება, ძოვება) უკანონოა, ხოლო თუ ამაზე არსებობს დაცული ტერიტორიის ხელმძღვანელობის თანხმობა, ეს მათ დანაშაულზე მიუთითებს.

ნიადაგის დაზიანება

მერქნის გამოზიდვის დროს ნიადაგის ზედაპირული ფენის დაზიანება და ამით ეროზიის წინაპირობის შექმნა აკრძალულია. ამას იწვევს დაცურებით ხე-ტყის გამოტანა, რის შედეგადაც ვითარდება მეწყრული მოვლენები. ყველაზე ხშირად დაცურების კვალი შეიმჩნევა ტყეების სიახლოვეს განლაგებულ სოფლებთან, სადაც სახერხებში ხდება მერქნის პირველადი დამუშავება. ამასთანავე, როგორც წესი, ტყიდან დაცურებით გამოაქვთ უკანონოდ მოჭრილი ხეები._

მერქნის პირველადი დამუშავება ტყეში

ხე-ტყის პირველადი დამუშავება ტყეში აკრძალულია. თუ შეამჩნევთ, რომ ტყეში მუშაობს გადასატანი სახერხი, იცოდეთ, რომ ადგილი აქვს კანონის დარღვევას და **ბდი-ს** უნდა მიმართოთ.

სახერხები

ხე-ტყის სახერხ საწარმოებში აკრძალულია უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის დამუშავება და ეს კანონით ისჯება. რიგით მოქალაქეს არ აქვს უფლება შეამოწმოს საწარმოში ხე-ტყის წარმოშობის კანონიერება, მაგრამ არსებობს ძალზე თვალნათელი დარღვევები სახერხების ფუნქციონირებისას. სახერხის ტერიტორიაზე უნდა იყოს სპეციალური ორმო, სადაც გროვდება ნახერხი. ხშირად, ნახერხი გორებად ყრია სახერხის ეზოში ან მის გარეთ, და რაც უფრო მეტი ზიანის მომტანია გარემოსათვის - იყრება მდინარეში. ნახერხი იწვევს ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას, ქიმიურ რეაქციაში შედის მათ კომპონენტებთან, რითაც იმატებს მჟავიანობა. ეს უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რადგან მავნე ნივთიერებები ნიადაგისა და წყლის გავლით საბოლოოდ ჩვენს საკვებში და შემდეგ ორგანიზმში ხვდებიან. ასევე დარღვევაა, როცა სახერხში შეტანილია უკანონოდ მოჭრილი ხე-ტყე, რომელიც შეიძლება იცნოთ ნომრის არარსებობით.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა/მოპოვება

<u>რიგით მოქალაქეს კერძო პირისათვის დოკუმენტაციის მოთხოვნისა და შემოწმების უფლება არ აქვს!</u> ამისათვის არსებობენ სახელმწიფო სამსახურები, რომლებიც კანონით მინიჭებული უფლებით ახორციელებენ ასეთ ქმედებებს. თუმცა, ყველა მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს საჯარო ინფორმაცია. ამისთვის, წერილობით უნდა მიმართოს შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია შეუფერხებლად მიაწოდოს ინფორმაცია. სახელმწიფო უწყებას ამისათვის მაქსიმუმ 10 დღე აქვს. თუ ინფორმაციის მოცულობა დიდია, ან მისი მოძიება მოითხოვს გარკვეულ დროს, უწყებამ 3 დღის ვადაში უნდა გაცნობოთ, რომ ვერ ეტევა 10-დღიან ვადაში და იქვე მიუთითოს, თუ როდის შეძლებს მის მოწოდებას. თუ სახელმწიფო დაწესებულებამ დაარღვია ეს პირობები, თქვენ შეგიძლიათ იჩივლოთ ამავე სახელმწიფო დაწესებულების გენერალურ ინსპექციაში ან მიმართოთ

სასამართლოს. <u>ჩვენი რჩევაა, რომ სახელწიფო დაწესებულებაში ჩაბარებული განცხადების ასლი თქვენ დაიტოვოთ, ჩაინიშნოთ კანცელარიაში ჩაბარების თარიღი და ნომერი, რომლითაც თქვენი განცხადება გატარდა.</u>

ვის მიმართოთ დარღვევების აღმოჩენის დროს

უკანონო ჭრისა და სხვა დარღვევების შემთხვევაში, მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოს დაცვის ინსპექცას **(გდი)**, ან მის რეგიონულ ბიუროს.

გდი ცენტრალური ოფისი თბილისი, გულუას ქ.#6 ცხელი ხაზი 988308	**გდი ქვემო ქართლის ბიურო** ბიუროს უფროსი: ივანე გულუაშვილი; მისამართი: ქ. რუსთავი ფიროსმანის #19; ტელ: (8_24) 14 11 29
გდი დასავლეთ ცენტრალური ბიურო (იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და გურიის რეგიონები) ბიუროს უფროსი: მამუკა ვეზდენი; მისამართი: ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის #31 ტელ: 8 (231) 2 61 35	**გდი აღმოსავლეთ ცენტრალური ბიურო** (შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და ყაზბეგის რეგიონები) ბიუროს უფროსი: დავით უთმელიძე; მისამართი: ქ. მცხეთა სამხედროს # 13ბვ. ტელ: 8 (273) 38 84
გდი აჭარის ბიურო ბიუროს უფროსი: ივანე ჭეიშვილი; მისამართი: ქ. ბათუმი გორგასლის #124; ტელ: (888222) 7 49 85, 7 49 61	**გდი კახეთის ბიურო** ბიუროს უფროსი: ერასტი მეტრეველი მისამართი: ქ. თელავი. ჭავჭავაძის #243; ტელ: 8(252) 7 70 07
გდი სამეგრელო_ზემო სვანეთი ბიუროს უფროსი: ვაჟა გურჩიანი, მისამართი: ქ.ზუგდიდი ჯანაშიას #1; ტელ: 8 (215) 2 15 10	**გდი სამცხე _ ჯავახეთის ბიურო** ბიუროს უფროსის მ/შ: რევაზ ქადაგიშვილი; მისამართი: ქ. ახალციხე მ. კოსტავას #18. ტელ: 8 (262) 2 33 78

თუ თვლით, რომ სამინისტროს სისტემის თანამშრომელმა (მათ შორის სატყეო მეურნეობის, დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ან გდის) დაარღვია კანონი, ჩაიდინა სამსახურეობრივი გადაცდომა, დროულად და სრულად არ მოგაწოდათ ინფორმაცია, არ მოახდინა სათანადო რეაგირება თქვენს საჩივარზე - მიმართეთ <u>**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას**</u>. მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. #6,
ტელეფონი: 275718

<u>**ასოციაცია მწვანე ალტერნატივა გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევების შესახებ**</u>

ასოციაცია **მწვანე ალტერნატივა**
საფოსტო მისამართი თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. N62
ოფისის მისამართი: თბილისი, ყიფშიძის 5 ა IV სადარბაზო, VII სართული
ტელეფონი: 22 38 74 / 22 16 04
ფაქსი: 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

ინფორმაცია საქართველოს სატყეო სექტორის შესახებ იხილეთ ვებ გვერდზე www. forestgeo.net

პროექტი ’’’ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება ხე-ტყის არალეგალური ჭრის აღკვეთისათვის საქართველოში’’

მწვანე ალტერნატივა

ხორციელდება ასოციაცია
მწვანე ალტერნატივას მიერ
დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ